<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩისთვის პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩას მიენიჭოს პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:481664 Y:4617494
X:481807 Y:4617448
X:482210 Y:4617245
N
1:2,000



პეტრე მელიქიშვილი

(1850- 1927)

ქიმიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პირველი რექტორი (1918-1919) და ორგანული ქიმიის კათედრის გამგე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი.

დაიბადა თბილისში. 1872 წელს ოდესის უნივერსიტეტი ორი წლით ადრე (ექსტერნის წესით) წარჩინებით დაამთავრა და საპროფესოროდ მოსამზადებლად უნივერსიტეტში დარჩა. ამავე წელს თბილისში ჩავიდა, სადაც ქალთა კერძო გიმნაზიაში ერთი წლით ბოტანიკას ასწავლიდა.

1876 წელს მუშაობა დაიწყო ოდესის უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიაში;

1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "აკრილმჟავას ნაწარმის შესახებ".

1985 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე : "იზომერული კროტონმჟავების ნაწარმთა შესახებ".

1900 წელს დაჯილდოვდა მიხეილ ლომონოსოვის სახელობის პრემიით.

პეტრე მელიქიშვილი დიდ ინტერესს იჩენდა ქალთა ემანსიპაციისადმი. მან თავისი და უმაღლესი განათლების მისაღებად საფრანგეთში გაგზავნა და აქტიურ საქმიანობას ეწეოდა, რათა ქართველ ქალებს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლება მიეღოთ. 1905 წელს აქტიურად მონაწილეობდა ოდესის ქალთა უმაღლესი კურსების ჩამოყალიბებაში. 1906 წელს ქალთა კურსებზე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი გაიხსნა. იმავე წლის ოქტომბერში ფაკულტეტის დეკანად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს. 1885–1917წწ. იყო ამავე უნივერსიტეტის პროფესორი; ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, 1918 წლის 13 იანვარს პეტრე მელიქიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩიეს.

რექტორის თანამდებობაზე მუშაობის დროს მას ხელფასი არ აუღია. პეტრე მელიქიშვილი კითხულობდა ლექციებს და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ლაბორატორიებიც მოაწყო. 1918 წელს ქიმიის კათედრა დააარსა, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში, შემდეგ კი იგი ორ კათედრად, არაორგანული ქიმიისა (ხელმძღვანელი იასონ მოსეშვილი) და ორგანული ქიმიის კათედრებად გაყო, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა. პეტრე მელიქიშვილს 85 სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის.მისი შრომები ეხება ორგანულ და არაორგანულ ქიმიის საკითხებს; მან პირველმა მიიღო ორგანულ ნაერთთა კლასი, რომლებსაც გლიციდმჟავები უწოდა; 1939 წელს ცალკე მონოგრაფიად გამოვიდა მისი გამოკვლევები, მიძღვნილი ზემჟავებისა და ზეჟანგებისადმი.

პეტრე მელიქიშვილის თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა ოთხ ქიმიურ ლაბორატორიას, შეიქმნა არაორგანული, ორგანული და აგრონომიული ქიმიის კათედრები; პეტრე მელიქიშვილის სახელობისაა ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესებულია მისი სახელობის პრემია ქიმიის და ფიზიკის დარგებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის პეტრე მელიქიშვილის სახელობის კაბინეტ–ბიბლიოთეკა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **19-01220983337**
თარიღი: **08/04/2022**
პინი: **1287**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში შემოსულია წერილი (N02-0122095391-01, 05.04.2022წ), რომელიც ქ.თბილისში, მელიქიშვილის ქუჩისთვის მელიქიშვილის გამზირის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

ირაკლი გვილავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

3057/4-16/22 2 05042022

3057/4-16/22
05-04-2022

ქალაქ თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა, ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა როსტომ ჩხეიძემ კულტურის კომიტეტს მომართა წინადადებით, მელიქიშვილის ქუჩას, რომელიც ჭავჭავაძის გამზირს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მიდამოებში ერთვის, ეწოდოს „მელიქიშვილის გამზირი“.

ბატონ როსტომს, აგრეთვე, მიაჩნია, რომ სასურველია მომავალ გამზირზე შეირჩეს სათანადო ადგილი და დაიდგას სასიქადულო ქართველი პოეტის, მურმან ლებანიძის ბიუსტი, რომლის ერთი ლექსიც მასში ახალგაზრდული ჰიმნის განწყობას ბადებს. ნარკვევში „მელიქიშვილის გამზირი“ როსტომ ჩხეიძე მურმან ლებანიძის ლექსის ლირიკულ რემინისცენციას გვთავაზობს და დასძენს: “მელიქიშვილის გამზირს რომ წარმოსახავდა იმგვარი ექსპრესიით, სტუდენტურ, ახალგაზრდულ ჰიმნად ჩამოგვესმის, იით, ვარდითა და ბზით შემკულად და გასხივოსნებულად ის სივრცე, რაც მანამდე ქუჩა გვეგონა, ერთ-ერთი პატარა ქუჩა...“

კომიტეტი მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, მწერალ როსტომ ჩხეიძის ინიციატივას და მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ მელიქიშვილის ქუჩის მელიქიშვილის გამზირის სახელით მოხსენიებისა და მის რომელიმე სეგმენტში სახელოვანი ქართველი პოეტის, მურმან ლებანიძის ბიუსტის დადგმის საკითხი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ელისო ბოლქვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032215744**
თარიღი: **06/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას 2022 წლის 8 აპრილის საქმე #15-0322098128-03 დაკავშირებით, რომლითაც საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ელისო ბოლქვაძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს პეტრე მელიქიშვილის ქუჩის გამზირად ჩამოყალიბებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ პეტრე მელიქიშვილის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221583456**
თარიღი: **07/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 06.06.2022 წლის #03-032215744 (06.06.2022წ. #14-01221572071-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი